ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60.60211691**

თარიღი:**18/06/2021**

ხონის მუნიციპალიტეტში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრობის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე'' და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი ნაწილის; საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თამარ უგულავას მოხსენებითი ბარათის (რეგ. N01-60211677; 16/06/2021წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ხონის მუნიციპალიტეტში ღია მმართველობის განხორციელების ხელშესაწყობად სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

-ლადო ჯურხაძე- ხონის მუნიციპალიტეტის მერი- სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

-ამირან კინწურაშვილი- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

-თამარ უგულავა- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- სამუშაო ჯგუფის წევრი;

სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა ეთხოვოს:

-ბაჩანა ბასილაიას- არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის“ დამფუძნებელს;

-მარიკა ვაჭარაძეს-არასამთავრობო ორგანიზაცია რეგიონალური ინიციატივების

ცენტრის ,,ნათელი მომავალი“-ს ხელმძღვანელს;

- დარეჯან ცარციძეს- მოწვეულ კონსულტანტს.

2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს ხონის მუნიციპალიტეტში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრობის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესასრულებლად სამოქმედო გეგმის შემუშავება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

4. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი